გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მამუკა ფანიაშვილის 2023 წლის 1 ნოემბერიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: **გორის მუნიციპალიტეტი**

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: **მამუკა ფანიაშვილი**

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: **ფრაქცია „გორი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე**

ფრაქციის წევრობა: **,,გორის საქართველისთვის“ წევრი**

კომისიის (კომისიების) წევრობა: **სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.**

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): **პროპორციული წესით**

საანგარიშგებო პერიოდი: **2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე**

განხორციელებული საქმიანობები:

1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი <u>მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 8 სხდომაში.</u>
2. საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა:

<u>განვიხილეთ და გადაწყვეტილება მივიღეთ 143 საკითხზე</u>

3. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა:

არცერთ საკითხს, რომელიც ეხებოდა მერიის და საკრებულოს თანამდებობის პირებისთვის ხელფასების გაზრდას, საწვავის ლიმიტების გაზრდას, დაუსაბუთებლად თანამშრომელთა რიცხოვნობის გაზრდას, პირდაპირი წესით მუნიციპალური ქონების განკარგვას (გარდა სახელმწიფოსთვის გადაცემისა) 2023 ბიუჯეტის დაჩქარებული წესით განხილვას, მერიის სამსახურების/ააიპების დაუსაბუთებელ და გაუმართავ ანგარიშებს.

4. კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა:

ვარ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი.

5. ბიუროს სხდომებში მონაწილეობა:

- დავესწარი საკრებულოს ბიუროს 2 სხდომას და 23 საკითხის განხილვაში მივიღე მონაწილეობა.

6. ფრაქციის სხდომებში მონაწილეობა:

- ვარ ფრაქცია „გორი-საქართველოსთვის“ თავმჯდომარე.

7. სხვა განხორციელებული საქმიანობები:

ვარ მუნიციპალიტეტთან არსებული გენდერული საბჭოს წევრი, მონაწილეობა მაქვს მიღებული საბჭოს დებულების და სამოქმედო გეგმის დოკუმენტის შემუშავებაში. ვარ საქართველოს თვითმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა-ს) გამგეობის წევრი, ყოველთვის აქტიურად ვმონაწილეობ მუნიციპალიტეტებისთვის მნიშვნელოვანი საკითების განხილვაში.

შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:

მომდევნო წლის საანგარიშო პერიოდში ვგეგმავ აქტიური მონაწილეობა მივიღო ააიპების საქმიანობის დეტალურ შესწავლაში, ასევევ ადგილზე შევისწავლო და გადავამოწმო მუნიციპალური ბიუჯეტით განხორციელებული მაშტაბური პროექტები.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მამუკა ფანიაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ.გორი **2024 წლის 24 ოქტომბერი**

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თამარ მურალოვა

საკრებულოს წევრები: მერაბ გოხელაშვილი და მაია ბოლაშვილი

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის ცენტრის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ლელა ბზიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე თამარ მურალოვა.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის მამუკა ფანიაშვილის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი მამუკა ფანიაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მამუკა ფანიაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა **2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024წლის 1 ნოემბრამდე** გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც

თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მამუკა ფანიაშვილმა აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: შმაგი ხუბულურმა და მარიამ მელაძემ.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: თამარ მურალოვა

საკრებულოს წევრი: მამუკა ფანიაშვილი